საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის წინ, მდებარე მიწის ნაკვეთზე 01.10.18.011.077 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო რესტორნის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" - დამტკიცების თაობაზე

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა: გიორგი ხმალაძეm და თინათინ შერაზადიშვილმა.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების საფუძველზე 13-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილების 21-ე მუხლის, მე-5 პუნქტის შესაბამისად.

1. შენიშვნები.

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რიალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განომარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

1. წესები - შნობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები

2. შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

3. პროექტის აღწერილობა

პროექტის მიზანს წარმოადგენს რესტორნის დაგეგმარება თანამედროვე გეგმარებითი პრინციპების და შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების დაცვით.

საპროექტო მიწის ნაკვეთი, (ს.კ 01.10.18.011.077) ფართობით 1147კვ.მ, მდებარეობს ქ. თბილისში, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის წინ. მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრიდან მხრიდან ესაზღვრება საავტომობილო გზა, ხოლო დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან კერძოსაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. ტერიტორია ხასიათდება რთული რელიეფით, პროექტის მიხედვით შენობა განთავსებულია მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში ,დასავლეთით მოეწყობა ღია ავტოსადგომი, ხოლო სამხრეთით ღია საზაფხულო კაფე.

პროექტის კონცეფცია მდგომარეობს მაქსიმალურდა მსუბუქი და გამჭირვალე მოცულობის შექმნაში რათა მინიმალურად შეიზღუდოს ქალაქზე ხედი. საპროექტო შენობა სამსართულიანია, მთავარი შესასვლელები განთავსებულია ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი ქუჩის მხრიდან. პირველი სართული (ანტრესოლი) თავშეყრისთვისაა განკუთვნილი (სასადილო დარბაზი) საიდანაც ჩავდივართ შესაძლებელია -3,00 ნიშნულზე განთავსებულ დონეზე, ხოლო შემდეგ ვხვდებით -6,40 ნიშნულზე, აღნიშნულ სართულზე განთავსებულია სამზარეულო საწყობები და ადმინისტრაციის ოთახები. –I (-3,00 ნიშნული) სართლიდან შესაძლებელია გასვლა ეზოში სათაც მოწყობილია ღია კაფე. ნაკვეთის დასავლეთ ნაწილში მოეწყობა ღია ავტოსადგომები 9ავტომობილზე, აქედან 1 ავტოსადგომი განკუთვნილია შშმ პირისთვის.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნული (595.77 მეტრი), შენობის სიმაღლე „მიწის დონის ნიშნულიდან“ შეადგენს 4.91 მეტრს, ხოლო სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს 6,40 მეტრზე.

საპროექტო შენობის თითოეული სართულიდან შესაძლებელია შენობის გარეთ დაუბრკოლებლად გამოსვლა.

საპროექტო შენობის ჩრდილოეთის და სამხრეთის ფასადები სრულად შემინულია ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეს სახურავი რომელიც მწვანე საფარითაა დაფარული რკალისებურად ჩამოდის და ერწყმის არსებულ რელიეფს.

საპროექტო შენობის ძირითად სტრუქტურულ სისტემას წარმაოდგენს გაძლიერებული ბეტონის სვეტების, მზიდი კედლებისა და ურიგელო სართულშუა გადახურვის ფილებისგან შემდგარი კარკასი. პროექტის მიხედვით შენობას აქვს რკალისებრი, ქანობიანი გადახურვა და შედგება შემდეგი შრეებისგან:

ლითონის წამწეებისგან შემდგარი კონსტრუქციის ზემოთ მოწყობილია, OSB ფილა, ორთქლიზოლაცია, თბოიზოლაცია, შემდეგ ისევ OSB ფილა, ჰიდროიზოლაცია, სადრენაჟო და საფილტრაციო შრეები, ნაყოფიერი მიწის ფენა და მწვანე საფარი.

საპროექტო შენობა სიმაღლის, დაკავებულობის ფართობის და სტრუქტურული ელემენტების ცეცხლმედეგობის მიხედვით შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე შეესაბამება II-B კონსტრუქციის ტიპს.

4. ძირითადი ნაწილი

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

წესების მე-3 თავის მიხედვით საპროექტო ობიექტისათვის და მისი ცალკეული ნაწილებისათვის განსაზღვრულია დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები **წესების** 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

- **თვ-2 (303.3)** თავშეყრის ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს რესტორნებს და რესტორნის სამზარეულოს. თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი თვ-2 (სასადილო სივრცეები 0,00 და -3,00 ნიშნულებზე და სამზარეულო დამხმარე ოთახებით -6,40 ნიშნულზე) წესების 303.3 ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს ისეთ შენობებს და ნაგებობებს, რომლებიც განკუთვნილია თავშეყრისა და კვებისთვის.

  თვ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი- 1,4 (არაკონცენტრირებული მაგიდები და სკამები) და 18,6 (სამზარეულოები, კომერციული) 1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად. რესტორნის დარბაზის სივრცეებში (0.00; -1,50 და -3,00 ნიშნულებზე) დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 202 დამკავებელს, ხოლო აღნიშნული სივრცის მომსახურე სამზარეულოს დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 9 დამკავებელს. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაკავებულობის ჯამური დატვირთვა თვ-2 ჯგუფის დაკავებულობაში შეადგენს 211 დამკავებელს, მაგრამ წესების 1004.1.2 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისად, დამკვეთი იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე, რომ რესტორნის ექსპლოატაციის პროცესში თავშეყრის სივრცეში (სამზარეულოს ჩათვლით) არ იქნება 99 დამკავებელზე მეტი, ასევე თავშეყრის სივრცეებში განათავსებს ამოსაცნობ ნიშნებს რომ აკრძალულია 99 დამკავებელზე მეტის არსებობა, რასაც ადასტურებს წერილობით (იხ. დანართი).

  საერთო ჯამში თვ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 99 დამკავებელს საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია 508.1 ქვეთავით და 508.4 ცხრილით განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, თავშეყრის ქვეჯგუფი (თვ-2), მის ქვემოთ და მომიჯნავედ გვერდით მდებარე საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია თაბაშირმუყაოს ფილები), კედლებით რაც შეესაბამება 508.4 ცხრილში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

- **დს (312.1)** დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს (მექანიკური და საინჟინრო მოწყობილობების ოთახი -7,60 ნიშნულე) წესების 312.1 ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს დამხმარე დანიშნულების შენობებს, ნაგებობებს და სხვადასხვა ნაგებობს, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს.

დს ჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-27,9 (დამხმარე სათავსები, მექანიკური მოწყობილობების ოთახი),1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად და საერთო ჯამში დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 1 დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია 508.1 ქვეთავით და 508.4 ცხრილით განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, დამხმარე ჯგუფი (დს), მის მომიჯნავედ, მდებარე თავშეყრის (თვ-2) ჯგუფის დაკავებულობისგან გამიჯნულია მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის კედლები), კედლებით რაც შეესაბამება 508.4 ცხრილში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

- **სქ (304.1)** საქმიანი ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს „მონაცემთა ელექტრონული დამუშავებას“ ეს დაკავებულობა განლაგებულია -6,40; და -3,00 ნიშნულებზე) წესების 304.1 ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის, ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

  სქ ჯგუფის დაკავებულობებისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 9,3 (საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) ფართობები) 1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა -6,40 ნიშნულზე შეადგენს 4 დამკავებელს, ხოლო -3,00 ნიშნულზე 1 დამკავებელს.

  საერთო ჯამში, საპროექტო შენობაში სქ ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 5 დამკავებელს.

  საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია 508.1 ქვეთავით და 508.4 ცხრილით განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საქმიანი ჯგუფი (სქ), მის მომიჯნავედ/ზედა და ქვედა სართულზე მდებარე თავშეყრის (თვ- 2), დამხმარე ჯგუფის დაკავებულობისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია თაბაშირმუყაოს ფილები), კედლებით რაც შეესაბამება 508.4 ცხრილში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2) კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

პროექტის კვლევის საფუძველზე შენობა-ნაგებობა განისაზღვრა **II-B ტიპის** კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**თვ-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	2	2
ფართი	შეუზღუდავი	683.0
სიმაღლე	16.8	4.91

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**დს** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	2	1
ფართი	3300	27.0
სიმაღლე	16.8	4.91

- კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სქ** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	4	2
ფართი	7340	204.0
სიმაღლე	16.8	4.91

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თვითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

- 1021.2 ქვეთავის,1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილებიდან გამომდინარე საპროექტო შენობის 0,00 ნიშნულზე ნიშნულზე განთავსებულ ანტრესოლს ემსახურება 1 გასასვლელის გზა კარი და 2 შიგა გასასვლელთან მისადგომის გზა კიბე, -3,00 ნიშნულზე განთავსებულ სართულს ემსახურება 2 გასასვლელის გზა-კარი და 2 შიგა გასასვლელთან მისადგომის გზა კიბე ხოლო -6,40 ნიშნულზე განთავსებულ სართულს ემსახურება 2 გასასვლელის გზა-კარი და 1 შიგა გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე. აღნიშნულ სართულებს ერთმანეთთან აკავშირებს „2“ ღერძთან არსებული შიგა გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე, რომელიც -6,40 ნიშნულზე აღჭურვილია წევის საჩერი ფარდით.

- მიწის დონის ქვემოთ, -6,40 და -4,70 ნიშნულზე არსებულ სართულს (სქ; თვ-2 და სწ-2), დაკავებულობის დატვირთვიდან (14 დამკავებელი) და გასასვლელამდე მაქსიმალური სავალი მანძილიდან გამომდინარე ემსახურება ერთი შიგა გასასვლელთან მისადგომის გზა კიბე და ორი გასასვლელის გზა-კარი რაც აკმაყოფილებს წესების 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნებს მიწის დონის ქვედა სართულებთან დაკაშირებით.

- -3,00 ნიშნულზე განთავსებულ სართულს (სქ; თვ-2) დაკავებულობის დატვირთვიდან (143 დამკავებელი) და გასასვლელამდე მაქსიმალური სავალი მანძილიდან გამომდინარე ემსახურება ორი შიგა გასასვლელთან მისადგომის გზა კიბე და ორი შიგა გასასვლელის გზა კარი.

- პირველ მიწისპირა სართულზე (ანტრესოლი 0.00 ნიშნული) განთავსებულ თავშეყრის ჯგუფის დაკავებულობას ემსახურება 2 შიგა გასასვლელის გზა კიბე და 1 გასასვლელის გზა-კარი, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას.

- საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით 0,00 ნიშნულზე განთავსებული თვ-2 ჯგუფის დაკავებულობის გასასვლელები აკმაყოფილებს წესების 2021.2(2) ცხრილის და 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს გასასვლელების რაოდენობასა და განლაგებასთან დაკავშირებით.

- საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილები დაცულია და შეესაბამება წესების მოთხოვნებს. გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების 1009 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები/გასავლელები მოწყობილია 1018 ქვეთავის მიხედვით, ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია1008 ქვეთავის შესაბამისად, ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

- გასასვლელები გრძელდება 1027 ქვეთავის მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

5) გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

- მთელ ნაგებობაში პროექტით გათვალისწინებულია გზა-კიბეები. მათი სიგანეები არის 110 სმ-ზე მეტი. რაც აკმაყოფილებს **წესების** 1005.3.1 და 1009.4 ქვეთვების მოთხოვნებს.

- კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი **წესების** 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური **წესების** 1012 ქვეთვის მოთხოვნათა დაცვით.

- სწორედ არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **წესების** 1009.7.2 ქვეთვის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება **წესების** 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სხვა გასასვლელი საშუალებები სწორედ არის დაგეგმარებული დერეფნის სიგანე აკმაყოფილებს **წესების** 1018.2 ქვეთავისა და 1005.3.2 ქვეთვის მოთხოვნებს.

- ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) აკამყოფილებს **წესების** 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

- **წესების** 1006 ქვეთავის მიხედვით გასასვლელი საშუალებები (გზა-კიბეები, დერეფნები,) ყოველთვის უნდა იყოს განათებული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათადარიგო ელექტრო მომარაგებით, გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს.

- **წესების** 1006.3.1 განათებულობის დონე საგანგებო ელექტრომომარაგების დროს. საგანგებო ვითარებისას გასანათებელი მოწყობილობები უნდა უზრუნველყოფდეს საშუალოდ 11 ლუქს განათებულობას და გასასვლელის გზის გასწვრივ იატაკის დონეზე ნებისმიერ წერტილში, სულ მცირე, 1 ლუქსს. განათებულობა შეიძლება შემცირდეს 6 ლუქსამდე, ხოლო საგანგებო ვითარების დასრულებამდე ნებისმიერ წერტილში, სულ მცირე, 0,6 ლუქსამდე. განათებულობის მაქსიმალური და მინიმალური თანაფარდობა 40:1-ს არ უნდა აღემატებოდეს.

6) მისაწვდომობის შეფასება:

- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 1104.4 ქვეთავის პირველი გამონაკლისის მიხედვით შენობას არ მოეთხოვება მისაწვდომი სვლაგეზი, თუმცა შენობაში გარკვეულწილად გათვალისწინებულია მისაწვდომობის სვლაგეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ შენობაში თითოეულ სართულზე შენობის გარედან შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში შესვლა-გამოსვლა და შენობიდან გამოსვლა.

- თვ-2 ჯგუფის დაკავებულობებში (სასადილო სივრცეები) არსებული დასაჯდომები მისაწვდომია და აკმაყოფილებს წესების 1108.2.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულ დაკავებულობებს ემსახურება -3,00 ნიშნულზე განთავსებული მისაწვდომი წყალსადენის ფიქსირებული ელემენტები და ტუალეტები რომლიბიც აკმაყოფილებს წესების 16 თავის
- “2” ღერძთან არსებულ კიბის უჯრედზე მოეწყობა ბაქან ლიფტი რითიც და 0.00 და -3.00 ნიშნულები დაუკავშირდება ერთმანეთს

7) გარე კედლისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო ნაგებობების გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს. კერძოდ:

- ფასადიდან ნაშვერების ზომა აკმაყოფილებს **წესების** 705.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, არამზიდი კედლები და ტიხრები შიდა, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 601ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 602 ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე კედლების ანაწყობი, გამოყენებული მასალები და მოპირკეთების ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 14 თავის მოთხოვნებს

8) სახურავის ანაწყობის შეფასება:

- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია **წესების** 601 ცხრილის მიხედვით. შენობის **IIZB** კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე არ საჭიროებს სახურავის ცეცხლმედეგობის ხარისხს.

- სახურავის ანაწყობი **წესების** 15 თავის მოთხოვნების შესაბამისადაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

9) ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამიჯვნების შეფასება:

- საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების 508 ქვეთავის შესაბამისად.

- პროექტში წარმოდგენილია ოთხი შერეული დაკავებულობა სწ-2, თვ-2 დს და სქ ჯგუფების დაკავებულობების სახით.

- საპროექტო დოკუემნტაციის მიხედვით, -6,40 ნიშნულზე, სწ-2 ჯგუფის დაკავებულობა (სასაწყობო სივრცეები) თვ-2 ჯგუფის დაკავებულობა (სამზარეულო) და დს (ტექნიკური ოთახი) ზემოთ არსებული თვ-2 და სქ ჯგუფის დაკავებულობისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით, ხოლო ერთმანეთისგან და მინიმუმ 1 სთ ცეცხლმედეგი კედელბით, რაც შეესაბამება წესების 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

- კედლების და თარაზული ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა(თარაზული ანაწყობის სტრუქტურა) და ბეტონის ბლოკის კედლები.

- შენობაში არსებული ყველა შახტი, რომლებშიც განთავსებულია შენობის ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები შემოზღუდულია მინიმუ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 713 ქვეთავის და 713.4 ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

10) ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება:

- სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემა (ყველა დაკავებულობაში) კვამლის საკონტროლო სისტემები 1-2 ღერძებს შორის მდებარე ღია კიბე -6.40 ნიშნულზე, აღჭურვილია წევის საჭერი ფარდით.

- **წესების** 906.1 ქვეთავის მოთხოვნების მიხედვით ხელის ცეცხლმაქრების განთავსებულია, თვ-2 ჯგუფის დაკავებულობაში და დერეფნებში რომლების ემსახურება თვ-2, სქ და სწ-2 ჯგუფის დაკავებულობებს.

- **წესების** 903.2.1.2 ხელის ცეცხლმაქრები (თვ-2 ჯგუფის დაკავებულობაში და დერეფნებში რომლების

- **წესების** 907.2.9 ქვეთავის მოთხოვნებიდან გამომდინარე საპროექტო შენობაში უნდა დაყენდეს სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რაც საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებულია, ასევე, წესების 907.2.11.2 ქვეთავის მიხედვით განსაზღვრული

- კვამლაღმომჩენი სისტემები. ემსახურება თვ-2, სქ და დს ჯგუფის დაკავებულობებს) **წესების** 907.2.8.2 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით UL 217-ის შესაბამისი კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის ერთი და მრავალბლოკიანი მოწყობილობები უნდა დაყენდეს 907.2.11.1 - 907.2.11.4 ქვეთავებისა და NFPA 72-ის მიხედვით.

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს.

- **წესების** 1109.2 და 1109.2.2 ქვეთავების მიხედვით განისაზღვრა საჭირო რაოდენობის მისაწვდომი ტუალეტები, რომლებიც დაგეგმარდა მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის მიხედვით.

დასკვნა

ქ. თბილისში, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის წინ, მდებარე მიწის ნაკვეთზე 01.10.18.011.077 საკადასტრო ერთეულზე საპროექტო რესტორნის არქიტექტურული პროექტი სრულად შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს წესებთან შესაბამისობისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტები:

ლევანი ოქროპირიძე

ლევანი ოქროპირიძე

პერსონალური ინფორმაცია

სახელი, გვარი	ლევანი ოქროპირიძე
დაბადების თარიღი	03.07.1985
დაბადების ადგილი	რუსთავი
მისამართი	ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. N28
ტელეფონის ნომერი	595 65 15 56
E-mail:	okropira@gmail.com

განათლება

უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2003-2007 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი. სპეციალობა - ინჟინერი, ბაკალავრი.
უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2010-2012 თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია. არქიტექტურის ფაკულტეტი. სპეციალობა - ინტერიერის დიზაინერი, მაგისტრი.
უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2017 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - დოქტორუანტურა

სამუშაო გამოცდილება

2006-2011 - შპს „დ პლუსი“ - სამშენებლო კომპანია არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან)

2013_დან დღემდე - შპს „ენ ენ ჯგუფი“ - სამშენებლო კომპანია

არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან)

2011_დან 2019 წლამდე - შპს „საინვესტიციო დეველოპერულიკომპანია ათორი“ - სამშენებლო კომპანიამთავარი არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმებაშესაბამის ორგანოებთან)

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD, ArchiCAD, Revit, 3D’s Max, Photoshop, CorelDraw

ენები

ქართული	მშობლიური
ინგლისური	კარგი
რუსული	კარგი

ინტერესთა სფერო

კითხვა, მუსიკის მოსმენა, მოგზაურობა.

განმცხადებელი ლ. ოქროპირიძე

თარიღი: 12.02.2021


სერტიფიკატი

№ 2017-081

გადაეცემა

ლევან ოქროპირიძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

საქართველო

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

მაგისტრის დიპლომი

TSAA № 000097

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2012 წლის 25 ივლისის № 3

გადაწყვეტილებით ლევან ოქროპირიძეს მიენიჭა

ინტერიერის დიზაინის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

დეკანი
Dean ნოდარ ამაშუკელი
/ Nodar Amashukeli /

რექტორი
Rector თინათინ კლდიაშვილი
/ Tinatin Kldiashvili /

თბილისი
TBILISI

05 / რიცხვი/ day
09 / თვე/month
2013 / წელი/year

GEORGIA

APOLLON KUTATELADZE
TBILISI STATE
ACADEMY OF ART

MASTER'S DIPLOMA

TSAA № 000097

By Decision № 3 of 25 July 2012 of the Faculty of

Architecture

Levani Okropiridze

was awarded the Degree of Master of

Interior Design

ბ.ა.
Seal

სარეგისტრაციო №
REGISTRATION 155

Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME

ლევანი

LEVANI

გვარი / LAST NAME

ოქროპირიძე

OKROPIRIDZE

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მმ / M	35001052365

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
03.07.1985	05.05.2032

ხელმოწერა SIGNATURE

გარათის No / CARD No

20ID82221

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH

რუსთავი

RUSTAVI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE

05.05.2022

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY

იუსტიციის სამინისტრო

MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2020

სფს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGEO2OID82221035001052365<<<<

8507033M3205057GEO<<<<<<<<<<<0

OKROPIRIDZE<<LEVANI<<<<<<<<<<<